ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1972507

ნომერი: AR1285476

თარიღი : 17.02.2015

გაცემის თარიღი : 24.06.2015

გაცნობის თარიღი : 05.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N7 , (ნაკვეთი N38/43) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვალერი გელაშვილი პ/ნ LTU22074556
- რუსთაველის N14

ორგანიზაცია:
- ლიტ ჯეო ინვესტი კოდი: 400033655

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 12105
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 26.11.2007

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 22
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 27.01.2015

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; სექტორი-2, ბლოკი ბ
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირინა შარაბიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "სტუდია 21"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405044768

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ლიტ ჯეო ინვესტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400033655
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვალერი გელაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 38511190013

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 12288.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 945.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 12641.8
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 9295.7
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 666.2
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1097.4
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 242.5
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1340.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 33180.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 29840.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 3340.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 49.78
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 45.76
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.02
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 904-0.1 (12288)
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 7936.9-0.6 (12288)
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 3592-0.2 (12288)

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: #01/421
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 18.04.2008

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1269174; #01/421; 18.04.2008
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 16.05.2014

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტს №1760139 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ჩუღურეთი, ქუჩა ც. დადიანი, №7, (ნაკვეთი №38/43)/ქ. თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, №7, შპს "ლიტ ჯეო ინვესტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.16.02.038.072), შეთანხმებული გრგ–ს მიხედვით მე–2 სექტორში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ბ" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, სადაც ბრძანების მე-4 პუნქტით დამკვეთს დაევალა ზემოაღნიშნული ბრძანების გამოცემიდან 3 (სამი) თვის ვადაში სამსახურში წარმოედგინა საპროექტო ტერიტორიაზე გამავალი ხაზოვანი ნაგებობის (საკადასტრო კოდი №01.00.118) მესაკუთრის შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე.
2015 წლის 03 ივნისს განმეორებით მომართა სამსახურს შპს "ლიტ ჯეო ინვესტი"–ს დირექტორმა ვალერი გელაშვილმა და მოითხოვა ბრძანების მე–4 პუნქტით დავალებული მოთხოვნის შესასრულებლად დამატებით 1

(ერთი) თვის განსაზღვრა, სამსახურის 04.06.2015წ. №1934923 ბრძანებით დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა და შევიდა ცვლილება 2015 წლის 04 მარტს გაცემულ №1760139 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მე-4 პუნქტში მოთხოვნილი დოკუმენტის წარმოდგენისთვის განსაზღვრულ სამთვიან ვადას დაემატა დამატებით 1 (ერთი) თვე და ვადა საერთო ჯამში განისაზღვრა 4 (ოთხი) თვით.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 23 ივნისს განეორებით მომართა შპს "ლიტ ჯეო ინვესტი"–ს დირექტორმა ვალერი გელაშვილმა და წარმოადგინა №01.00.118 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის მესაკუთრის (ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული) თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ დამკვეთმა თბილისის არქიტექტურის სამსახურის მითითება შეასრულა დროულად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შესრულებულად ჩაეთვალოს შპს "ლიტ ჯეო ინვესტი"–ს დირექტორს – ვალერი გელაშვილს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტს გაცემული №1760139 ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტის №1760139 ბრძანებასთან ერთად.

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებას.
- დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის გაცნობა, რომელიც ამ უკანასკნელმა უნდა იქონიოს სამშენებლო მოედანზე.
- საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.
- დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:
-აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;
-აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების

გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;
-აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე; - აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;
-უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთმერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველისართული, სივრცე #4.